

1981



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

**ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული**

თბილისი
1981

სექტემბერი № 9 СЕНТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И**

ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექნოლოგიური ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 8/IX-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-81
ანაწყობის ზომა 6 $\frac{1}{4}$ ×9 $\frac{1}{4}$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 6,7
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,28;

შეკვეთა № 682

შე 15092

ტირაჟი 6 000

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიდის ქ. № 7.

Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.



F-4864

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლექტივს,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლექტივის,
ცეკავშირის გამგეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და
სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და განათლების,
უმადლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის
პრეზიდიუმის 1981 წლის 20 ივნისის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო
სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთესო
მომსახურების დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლექტივს, საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს კოლექტივს, ცეკავშირის გამგეო-
ბას, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკ-
თა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმსა და გა-
ნათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმსა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ე ს :

1. დამტკიცდეს დათვალიერება-კონკურსის ქიურის 1981 წლის 15
ივნისის გადაწყვეტილება „ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და
საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთე-
სო მომსახურების დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შედეგების
შესახებ“.

2. გამარჯვებულად აღიარებულ იქნან და მიენიჭოთ:

პირველი ადგილი და პრემია 300 მანეთის ოდენობით:

— თბილისის ოქტომბრის რაიონის საზოგადოებრივი კვების
ტრესტის № 89-ე გაერთიანების მე-2 საშუალო სკოლის სასადილოს
(გამგე — ამხ. გ. ზაიცევა) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დი-
რექტორი — ამხ. ს. ჩილინგარიდი).

მეორე ადგილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით თითოეულს:

კ. შარქიას სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა

— რუსთავის მე-11 საშუალო სკოლასთან არსებულ ვაჭრობის მართველოს სასკოლო კვების კომბინატის სასადილოს (გამგე — ამხ. ლ. წიქრილაშვილი) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი — ამხ. ლ. მგალობლიშვილი);

— ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. გ. კრანობრიყევა) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი — ამხ. ს. ვოლოვანოვი);

— ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. ტ. გუგუჩია) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი — ამხ. ტ. ქორთუა);

მესამე ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით თითოეულს;

— ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. რ. ნემსაძე) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი — ამხ. ვ. კომახიძე);

— ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. დ. მყავანაძე) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი ამხ. დ. მემარნე);

— თბილისის ლენინის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 11 გაერთიანების მე-10 საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. ე. საყვარელიძე) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი — ამხ. შ. მანჯგალაძე);

— თბილისის ოქტომბრის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 89-ე გაერთიანების 36-ე საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. კოკოლაშვილი) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი — ამხ. გ. ხომერიკი);

— სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე — ამხ. ი. აბუხბა) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი ამხ. გ. ერქომაიშვილი);

— ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. შ. მესხიძე) და ამავე სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი ამხ. მ. დიასამიძე).

3. საზოგადოებრივი კვების სწავროთა მუშაკების პრემირება მოხდეს ვაჭრობის სამინისტროს სახ. რების ხარჯზე ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ფინანსებიდან. ხოლო სკოლების მუშაკებისა — განათლების სამინისტროს ხარჯზე.

საქართველოს სსრ
ვაჭრობის მინისტრი
ბ. ჭობლიანიძე

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
ო. ჭინჭლაძე

ცეკავშირის
გამგეობის
თავმჯდომარე

კ. შავიშვილი

სახელმწიფო ვაჭრობისა და
სამომხმარებლო კოლპერაცი-
ის მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე

ნ. გავაშელი

განათლების, უმაღლესი სკო-
ლისა და სამეცნიერო დაწე-
წესებულებების მუშაკთა პრო-
ფკავშირის რესპუბლიკური კო-
მიტეტის თავმჯდომარე

დ. იოსელიანი

ПРОТОКОЛ

ЗАСЕДАНИЯ ЖЮРИ ОТ 15 ИЮНЯ 1981 ГОДА ПО ВОПРОСУ РАССМОТРЕНИЯ РЕЗУЛЬТАТОВ СМОТРА- КОНКУРСА НА ЛУЧШУЮ ОРГАНИЗАЦИЮ ОБСЛУЖИВАНИЯ ОБЩЕСТВЕННЫМ ПИТАНИЕМ УЧАЩИХСЯ ОБШЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ РЕСПУБЛИКИ

Жюри рассмотрело материалы представленные на лучшую организацию обслуживания общественным питанием учащихся общеобразовательных школ. На награждение из 14 городов и районов были представлены 20 школьных столовых.

Представленные школьные столовые получили следующее количество баллов:

1. школа № 10 г. Тбилиси, Ленинский район — 72 балла
2. Школа № 2 г. Тбилиси, Октябрьский район — 101 балл
3. Школа № 3 г. Тбилиси, Октябрьский район — 69 баллов
4. Школа № 36 г. Тбилиси, Октябрьский район — 72 балла
5. Школа № 11 г. Рустави — 96 баллов
6. Школа № 13. г. Сухуми — 71 балл
7. Школа № 22 г. Батуми — 70 баллов
8. Школа № 3 г. Цхалтубо — 36 баллов
9. Школа № 8 г. Поти — 90 баллов
10. Кахатская средняя школа Зугдидского района — 86 баллов
11. Кведасамебская средняя школа Кобулетского района — 74 балла
12. Мухаэстатская средняя школа Кобулетского района — 72 балла
13. Школа № 2 Амбролаурского района — 66 баллов
14. Шухутская средняя школа Ланчхутского района — 61 балл
15. Школа № 2. г. Самтредиа — 61 балл

Не оценивать работу школьных столовых, не отвечающих требованиям смотра-конкурса, а также представивших неполноценные материалы (школы г. Ханури, Маранская средняя

школа Абашского района, школа Цулукидзевого района и средняя школа № 121 г. Тбилиси).

Признать победителями и присудить 1 место и премию в размере по 300 рублей каждому коллективу: Тбилисской средней школе № 2 Октябрьского района (директор Чилингари-ди С. И.) и столовой при данной школе объединения № 89 треста общепита Октябрьского района (зав. Зайцева Г.) — 101 балл.

Второе место и премию в размере по 200 рублей каждому коллективу: Руставской средней школе № 11 (директор Мга-лоблишвили Д.) и столовой при данной школе комбината школьного питания (зав. Л. Цицилашвили) — 96 баллов.

Потийской средней школе № 8 (директор Голованов Х.) и столовой № 14 при школе (зав. Краснобрижева Г.) — 90 баллов.

Кахатской средней школе Зугдидского района (директор Кортва Г. А.) и столовой при школе (зав. Гугучиа Т. С.) — 86 баллов.

Третье место и премию в размере по 150 рублей каждому коллективу:

Кведасамебской средней школе Кобулетского района (директор Комахидзе В.) и столовой при данной школе (Немсад-зе Р.) — 74 балла.

Мухаэстатской средней школе Кобулетского района (директор Мемарне Д.) и столовой при данной школе (зав. Мжаванадзе Д.) — 72 балла.

Тбилисской средней школе № 10 Ленинского района (директор Манджгаладзе Ш.) и столовой при данной школе объединения № 11 (зав. Сакварелидзе Е.) — 72 балла.

Тбилисской средней школе № 36 Октябрьского района (директор Хомерики Г.) и столовой при данной школе объединения № 89 треста общепита Октябрьского района (зав. Коколашви-ли) — 72 балла.

Сухумской средней школе № 13 (директор Ермаишвили Г.) и столовой при данной школе (зав. Абухба Ю.) — 71 балл.

Батумской средней школе № 22 (директор Диасамидзе М.) и столовой при данной школе (зав. Месхидзе Ш.) — 70 баллов.

Отметить хорошую работу коллектива Тбилисской средней школы № 3 Октябрьского района в организации питания учащихся и вручить почетную грамоту.

Премирование работников системы общественного питания производить за счет средств Министерства торговли и Правления Церакшвири, а работников школы — за счет средств Министерства просвещения.

Жюри отмечает, что не приняли участия в конкурсе и не прислали никакие материалы: Юго-Осетия, г. г. Кутаиси, Зугдиди, Гори, Ахалцихе, Боржоми, Гардабани, Гурджаани, Зестафони, Махарадзе, Мцхета, Телави, Цаленджиха и другие.

Председатель жюри: В. Чкония

Члены жюри: Л. Гигаури
Г. Вадосанидзе
В. Чинчаладзе
Т. Маградзе
Н. Морозова
Г. Гудушаури
З. Гозалишвили
Н. Гогичаишвили
Т. Мтварелидзе

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1981 წლის 22 ივნისის

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

1980 წლის მეოთხე და 1981 წლის პირველ კვარტალში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა განცხადებების, საჩივრების, წერილებისა და წინადადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები და დაქვემდებარებული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1976 წლის 28 აპრილს მიღებული დადგენილებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი მითითებებით, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების ოპერატიულად და ხარისხიანად განხილვისა და შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამინისტროს აპარატში დანერგილია მოქალაქეთა მიღების, განცხადება-საჩივრებისა და წინადადებების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ერთიანი მწყობრი სისტემა.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში მიღებულია მშრომელთა 1593 განცხადება-საჩივარი, მათგან განმეორებით მიღებულია 92, რაც 33%-ით ნაკლებია წინა წლებთან შედარებით.

მრავალფეროვანია განცხადება-საჩივრებისა და წინადადებების ხასიათი, მათი უმრავლესობა ეხება შრომით მოწყობას, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნას, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სხვა.

შემოსული 1593 განცხადება-საჩივრიდან უშუალოდ სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების მიერ შესრულებულია 1075, მათ შორის ხუთ დღეში — 463; თხუთმეტ დღეში — 321; ერთ თვეში — 224; ხოლო ერთ თვეზე მეტ დროში — 67. მათგან ვადის გაგრძელებითაა განხილული 51, ხოლო ვადის გაუგრძელებლად განხილულია 16.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოქალაქეთა პირადი მიღების ორგანიზაცია და საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს დებუტატებისა და მუდმივმოქმედი კომისიების წინადადებების განხილვისა და რეაგირების მდგომარეობა.

1980 წელს სამინისტროს ხელმძღვანელთა და სამმართველო-განყოფილებათა უფროსების მიერ მიღებულია 2000-მდე მოქალაქე, მათ შორის მინისტრისა და მისი მოადგილეების მიერ — 1303.

ამასთან, მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებისა და წინადადებების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით დარღვევის შემთხვევებს, როგორც სამინისტროს აპარატში, ისე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებშიც.

მაგალითად, ვადის დარღვევით განხილულ იქნა მოქ. კისელიანის განცხადება (სკოლების სამმართველო), მოქ. მ. ეგოროვის განცხადება (თბილისის სახალხო განათლების სამმართველო), მოქ. კოჩაძის განცხადება (თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება) და ლენინგორის რაიონის ზაქორის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მშობლების ხელმოუწერელი განცხადება (სკოლების სამმართველო).

გვხვდება, აგრეთვე, განცხადება-საჩივრების უხარისხოდ შესრულებისა და პასუხის გაუცემლობის ფაქტები. განცხადებებზე სრულყოფილი პასუხები არ გაეგზავნათ მოქ. მ. სუპრაშვილს და ნ. ხერკელაძეს (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო); ხოლო მოქ. თ. დულაკიძეს, დ. ცერცვაძეს, თ. ბუცბრიკიძეს, დ. გიორგაძეს (თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება), კ. ისმაილოვს, ნ. ფეიქრიშვილს (თეთრიწყაროს რაიონის სახალხო განათლების განყოფილება), გ. ცერცვაძეს და გ. გიულმამედოვს (კაპიტალური მშენებლობის განყოფილება) თავის განცხადებებზე პასუხი საერთოდ არ გაეგზავნათ.

ვხვდებით, ასევე, საქმისწარმოების დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევებს. მაგალითად, გაზეთ „პრავდის“ რედაქციიდან შემოსული მოქ. ალექსანდროვის განცხადება 10 დღის დაგვიანებით გადაეცა საღამოს სკოლების სამმართველოს, ხოლო მოქალაქეთა ხელმოუწერელი განცხადება თბილისის რეაწლიან სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ თერთმეტი დღის შემდეგ გაეგზავნა საქარხნო რაიონის განათლების განყოფილებას. მოქ. თ. ჩაფიძის განცხადება, რომელიც მიღებულია 1981 წლის 7 იანვარს, 21 დღის შემდეგ გადაეგზავნა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს; მოქ. ვ. ბრო-

ევის განცხადება კი 19 დღის შემდეგ გადაეგზავნა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

განცხადება-საჩივრების აღრიცხვის დადგენილი წესი უგულვებელყოფილია თეთრიწყაროს, დუშეთისა და თერჯოლის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში (გამგეები ლ. ჯინჯიხაძე, ქ. ბაშარული, ც. ლიბრაძე). მათ მიერ წარმოებულ სააღრიცხვო ყურნალებში, დაუდევარი ჩანაწერების გამო, ხშირად არ ხერხდება განმცხადებლის მისამართის, მის მიერ დასმული საკითხისა და რეზოლუციის შინაარსის დადგენა. ასევე ძნელდება შემსრულებლისათვის დოკუმენტის გადაცემის თარიღის დადგენაც. განცხადებათა ერთ ნაწილს კი აქვს რეზოლუცია: „აყვანილ იქნას აღრიცხვაზე“, მაშინ როდესაც განყოფილებებში არ არსებობს დროებით უმუშევარ, მასწავლებელთა აღრიცხვის სპეციალური ყურნალი.

მოქალაქეთა მიღების, განცხადება-საჩივრებისა და წინადადებების განხილვის და საქმისწარმოების შემდგომი გაუმჯობესებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სახალხო განათლების ინსპექციის ინფორმაცია „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გასული წლის მეოთხე და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიღებული მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად (თან ერთად).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება და ინფორმაცია არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შემდგომ მუშაობაში გათვალისწინების მიზნით გადაეგზავნოს თეთრიწყაროს, დუშეთისა და თერჯოლის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს და დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დავალოს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. თ. ჩუბინიძე).

ი ნ შ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გასული წლის მეოთხე და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიღებული მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შე ს ა ხ ე ბ

1980 წლის მეოთხე და მიმდინარე, 1981, წლის პირველ კვარტალში განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებს და სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის, მათზე რეაგირებისა და აღრიცხვა-წარმოების სრულყოფის საქმეში.

განათლების სამინისტროში საანგარიშო პერიოდში მიღებულია მშრომელთა 1593 განცხადება-საჩივარი. აქედან განმეორებითაა მიღებული 92. ზემდგომი ორგანოებიდან — 228. დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ შესწავლილია 618, ხოლო სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა მიერ — 975. მათ შორის ადგილზე ჩასთვლით — 194 განცხადება-საჩივარი.

სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების მიერ შესრულებული 1075 განცხადება-საჩივრიდან დაწესებულ ვადაში განხილულია 1008, აქედან 5 დღეში — 463, 15 დღეში — 321, ერთ თვეში — 224, ერთ თვეზე მეტ დროში 67. აქედან ვადის გაგრძელების დაცვით — 51 და ვადის გაუგრძელებლად — 16.

საანგარიშო პერიოდში 1979—1980 წლებთან შედარებით წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა შემცირდა 21%-ით, ხოლო განმეორებით შემოსულ განცხადებათა რაოდენობა 33%-ით.

მიღებული წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების ხასიათი მრავალფეროვანია. მათი უმრავლესობა ეხება შრომით მოწყობას, ან სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის საკითხებს. განცხადებების ავტორთა ერთი ნაწილი შემოდის თხოვნით, წინადადებებით, რჩევით, ასევე მკაცრი კრიტიკით სახალხო განათლების ორგანოებში არსებული ნაკლოვანებებისადმი, გამოხატავს შეუთრგებლობას საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევისადმი, ითხოვს მის მიერ დასმული საკითხების

ობიექტურ განხილვას და გადაწყვეტას, ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და მოუხდავად გარჯვეული წარმატებებისა, მოქალაქეთა მიღებისა და განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანებები.

ასე მაგალითად:

თეთრიწყაროს, დუშეთისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებში (გამგეები: ლ. ჯინჯიხაძე, ქ. ბაშარული, ც. ლიბრაძე) განცხადება-საჩივრების აღრიცხვა არ წარმოებს დაწესებული წესის შესაბამისად. სააღრიცხვო უზრუნალით ძნელდება განმცხადებლის მისამართის, მის მიერ დასმული საკითხისა და რეზოლუციის შინაარსის დადგენა. უმეტეს შემთხვევაში გაუგებარია თუ როდის გადაეცა დოკუმენტი შემსრულებელს, როდის შესრულდა და როგორი პასუხი გაეგზავნა განმცხადებელს. განცხადებათა ერთ ნაწილს აქვს რეზოლუცია „აყვანილ იქნას აღრიცხვაზე“, მაშინ როდესაც განყოფილებებში არ არსებობს მასწავლებელთა სამუშაოზე მოწყობის სპეციალური აღრიცხვის უზრუნალი.

ჯერ კიდევ ვხვდებით მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებისადმი პასუხის დაგვიანებით ან პასუხის სრულებით გაუცემლობის ფაქტებს. ასე მაგალითად:

მოქ. კისელიანმა სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სახელით დეპეშით მიმართა საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობას სკოლაში არსებულ სამცვლიან მეცადინეობასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული დეპეშა აყვანილ იქნა კონტროლზე და 3 თებერვალს ზომების მისაღებად საკითხის შესწავლა დაევალა სკოლების სამმართველოს სასკოლო ინაჰექტორს ვ. გასპარაშვილს. დეპეშაში აღნიშნულ საკითხებზე განათლების სამინისტრომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროდან მასალები დაგვიანებით მიიღო. საკითხი განხილულ იქნა განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოფელ თავისუფლების სკოლის მშენებლობის საკითხის 1982 წლისათვის მოგვარების შესახებ. პასუხი განმცხადებელს და საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტს ეცნობა ერთ თვეზე მეტ დროში — 7 აპრილს.

ხელმოწერილი განცხადება ლენინგორის რაიონის სოფელ ხაჭორის საშუალო სკოლის დირექტორის შესახებ 22 იანვარს შესასრულებლად გადაეცა სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორს ვ. შელემეტიევას. ეს განცხადება ერთი კვირის შემდეგ — 29 იანვარს განსახილველად გადაეგზავნა სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებას. შემოწმების შედეგებზე მასალა ნაცვლად 10-ისა მიღებულ იქნა 26 თებერვალს, განცხადება ჩამოწრილ იქნა ერთ თვეზე მეტ დროში — 4 მარტს.

თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებაში 1980 წლის 24 დეკემბერს შემოსული თ. დულაკიძის განცხადება შრომითი მოწყობის შესახებ, აგრეთვე 1981 წლის 19 იანვარს, 1981 წლის 3 თებერვალს და 1980 წლის 1 დეკემბერს შემოსული დ. ცერცვაძის, თ. ბუცხრიკიძისა და დ. გიორგაძის ანალოგიური შინაარსის განცხადებები შემოწმების დღემდე, 12 მაისამდე, პასუხგაუცემელი ინახებოდა საქმეთა მმართველთან. ასევე დღემდე პასუხგაუცემელია 1980 წლის 1 დეკემბერს თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებაში განათლების სამინისტროდან მიღებული მშობელთა კოლექტიური განცხადება სოფელ ქვემო სიმონეთის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორისა და მასწავლებელთა ერთი ნაწილის შეუფერებელი მოქმედების შესახებ.

თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებამ 1980 წლის 1 ოქტომბერს მიიღო კოლექტიური განცხადება სოფელ აბელინის რვაწლიანი სკოლის დირექტორის თ. კარსლიევის მოქმედების შესახებ, 1980 წლის 13 ოქტომბერს—კ. ისმაილოვის განცხადება საღამოს სკოლის მე-11 კლასიდან დღის სკოლის მე-10 კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, ხოლო, უფრო გვიან 1981 წლის 14 იანვარს ნ. ფეიქრიშვილის განცხადება, რომელშიც იგი უჩიოდა სოფელ შავსაყდრის დაწყებითი კლასის გამგე-მასწავლებელს. ზემოდასახელებული განცხადებების ავტორებს წერილობითი პასუხები დღემდე არ გაგზავნიათ.

ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისის საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის გ. ცერცვაძის განცხადება სკოლის შენობისათვის ბუფეტის მიშენების შესახებ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან 1980 წლის 8 ოქტომბერს მიიღო. ამ განცხადებაზე

სამინისტროდან მიღებული პასუხით უკმაყოფილო განმცხადებელმა გ. ცერცვაძემ იმავე ხასიათის განცხადება გაუგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. საიდანაც აღნიშნული განცხადება განათლების სამინისტრომ განმეორებთ 1981 წლის 29 იანვარს მიიღო და 1981 წლის 2 თებერვალს მინისტრის მოადგილის ამხ. თ. ვაჩნაძის რეზოლუციით „გთხოვთ განიხილოთ და მოამზადოთ პასუხი“ შესასრულებლად კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს ამხ. ბ. აფხაზავას გადაეცა, პასუხის დაგვიანების გამო კონტროლზე აყვანილი გ. ცერცვაძის განცხადება განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან მესამედ მიიღო 1981 წლის 21 აპრილს. მინისტრთა საბჭო სასწრაფოდ ითხოვდა პასუხს მისი შესრულების შესახებ. ეს განცხადება მინისტრის მოადგილის ამხ. თ. ვაჩნაძის რეზოლუციით „ეს საკითხი მეორედ არის მოსული, გთხოვთ მომელაპარაკოთ“ მიმდინარე წლის 30 აპრილს შესასრულებლად ისევ ამხ. ბ. აფხაზავას გადაეცა. დასახელებულ განცხადებაზე პასუხი დღემდე (5 ივნისი) არ არის გაცემული.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში პასუხგაუცემელი ინახება, აგრეთვე, მიმდინარე წლის 28 იანვარს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტიდან მიღებული და კონტროლზე აყვანილი თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება სკოლის მშენებლობის შესახებ და ა/წლის 24 თებერვალს მიღებული დმანისის რაიონის სოფელ ამამლოს საშუალო სკოლის დირექტორის გ. ვიულამედოვის განცხადება საკლასო ოთახების მიშენების შესახებ.

ზოგიერთ სამმართველო-განყოფილებაში და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვხვდებით მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებში აღძრული საკითხების გადაწყვეტისადმი ფორმალურ და ზერეულე დამოკიდებულებების ფაქტებს. ასე მაგალითად: თერჯოლის რაიონის სოფელ თუზის მცხოვრებ ი. კოჩაძის განცხადება სამუშაოზე მოწყობის შესახებ თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებამ მიიღო 1980 წლის 11 სექტემბერს. ეს განცხადება ყოფილი გამგის ა. ჯაფარიძის რეზოლუციით „აიყვანეთ აღრიცხვაზე“ 12 სექტემბერს შესასრულებლად გადაეცა სტატისტიკოს ლ. თურქაძეს, რომელიც ამ განცხადებას



დღემდე პასუხის გაცემის გარეშე ინახავს. აღნიშნულის გამო
 ძემ შემდეგ რამოდენიმეჯერ — 1980 წლის 9 დეკემბერს, მიმდინარე
 წლის 5 იანვარს, 30 იანვარს, 16 თებერვალს ისევ მიმართა განათლების
 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს სასკოლო ინსპექ-
 ტორს ი. კვანაძეს, რომელმაც ზემოდასახელებული ყველა გან-
 ცხადება რეზოლუციით „წარმოადგინეთ ბალის გამგის მომართვა“ შე-
 სასრულებლად გადასცა საქმეთა მმართველს ი. გაფრინდაშვილს. ამ
 უკანასკნელმა ყველა განცხადება ყოველგვარი რეაგირების გარეშე
 შესრულებული საქმეების პაპაკაში მოათავსა. განცხადებების ავტორმა
 ი. კოჩაძემ მიმდინარე წლის 8 აპრილს ერთხელ კიდევ სცადა ბედი და
 სამუშაოზე მოწყობის შესახებ ამჯერად განცხადებით მიმართა ახლად-
 დანიშნულ განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ც. ლიბრაძეს, რომ-
 ლის ხელმოწერით ი. კოჩაძემ პასუხი 6 დღეში მიიღო.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ მიმდინარე
 წლის 19 მარტს მიიღო თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების რვა-
 წლიანი სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელ გიორგი შალვას ძე
 სუაჩაშვილის განცხადება, რომელშიც იტყობინებოდა იმის შესახებ,
 რომ დასახელებული სკოლის დაწყებით კლასებში ფიზიკური აღზრდის
 გაკვეთილები არ ტარდება და ისინი ხმარდება სხვა საგნების სწავლე-
 ბას. ეს განცხადება ადგილზე შეამოწმა ფიზიკური აღზრდისა და სპორ-
 ტის რესპუბლიკური მასწავლო-მეთოდური ცენტრის სკოლების გან-
 ყოფილების გამგემ რ. აბულაძემ, რომელმაც განათლების სამინისტროს
 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს ამხ.
 დ. კვინიკაძეს წარუდგინა ერთაბზაციანი მოხსენებითი ბარათი, რომელ-
 შიც არაფერია თქმული განცხადებაში დაყენებული საკითხების შემოწ-
 მების შედეგების შესახებ. განმცხადებელს წერილობითი პასუხი არ
 გაგზავნია. მოხსენებითი ბარათი ამხ. კვინიკაძემ საქმეში გაუშვა.

ამავე სამმართველომ მიმდინარე წლის 7 იანვარს მიიღო დუშეთის
 რაიონის სოფელ მჭადიჯვრის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მას-
 წავლებლის ნ. ხერკელაძის განცხადება IX—X კლასებში ფიზკულტუ-
 რის გაკვეთილზე, განათლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად,
 გოგონებისა და ვაჟების ჯგუფებად გაყოფის შესახებ. როგორც გან-
 ცხადებიდან ჩანს, ნ. ხერკელაძემ აღნიშნული საკითხი 1980 წლის
 სექტემბერში დააყენა განათლების განყოფილების წინაშე, მაგრამ



F-4864

დაყენებული საკითხისადმი ფორმალური და ზერელე დამოკიდებულების გამო ნ. ხერკელაძემ კონკრეტული საბოლოო პასუხი ვერ მიიღო და ნოემბრის დასაწყისში განცხადებით მიმართა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივანს, რომლის ხელმოწერით 17 ნოემბერს მიიღო შემდეგი პასუხი „მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საურველია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფიზკულტურის გაკვეთილების დროს (IX—X) კლასები გაიყოს ორ ჯგუფად. ამასთან ერთად, დამატებით შეგახსენებთ, რომ განათლების რაიგანყოფილებაში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის სექტემბერში უფლება მოგეცათ აღნიშნული კლასები გაყოთ ორ ჯგუფად. განათლების განყოფილების მიმართვა № 392 16/IX-1980 წ“. მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლის დირექტორმა IX—X კლასები ფიზკულტურის გაკვეთილზე არ გაყო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასწავლებელმა ნ. ხერკელაძემ მიმართა განათლების სამინისტროს, საიდანაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის ამხ. დ. კვინიკაძის ხელმოწერით მიმდინარე წლის 22 იანვარს პასუხი გაეგზავნა — „თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილები IX—X კლასებში იყოფა იმ შემთხვევაში, თუ კლასში 25 მოსწავლეა, მათ შორის 8 გოგონაზე ან ჭაბუკზე მეტია, ამასთანავე, აუცილებელი პირობაა სკოლას გააჩნდეს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მასწავლებელთა კადრი“. თუმცა არც ეს პასუხია კონკრეტული და საბოლოო.

„უჩიტელსკაია გაზეტადან“ გადმოგზავნილი თბილისში მცხოვრებ მ. ეგოროვის განცხადება შრომითი მოწყობის შესახებ, სამინისტროს კანცელარიაში მიმდინარე წლის 17 მარტს რეგისტრირებული, მინისტრის მოადგილის ამხ. ო. დოლიძის 18 მარტის რეზოლუციით 23 მარტს შესასრულებლად გადაეგზავნა თბილისის განათლების სამმართველოს, რომელმაც პასუხის „ვაკანტური ადგილის უქონლობის გამო უარი ეთქვა ეგოროვს“ მომზადებას და განმცხადებლისა და რედაქციისათვის მის გაგზავნას ერთი თვე მოანდომა. პასუხი გაიგზავნა 23 აპრილს.

არის შემთხვევები, როდესაც ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც განცხადებებისა და საჩივრების ქვემდებარეობით გადაგზავნა უნდა ხდებოდეს 5 დღის განმავლობაში. სამწუხაროდ განათლების სამინისტროს ყველა სამმართველო-განყოფილება როდი ითვა-

კ. მარტოვი ს.ხ. საქ. სსრ
სახელმწიფო 4-13

ლისწინებს ამ მოთხოვნებს, ამისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც ეხება ლენინგორში მცხოვრებ ა. ალექსანდროვის განცხადებას.

ა. ალექსანდროვის გაზეთ „ბრავდის“ რედაქციიდან სამინისტროში გადმოგზავნილი განცხადება, რომელშიც იგი თბილისის საღამოს 27-ე საშუალო სკოლის დირექტორს უჩიოდა, სამინისტროს კანცელარიამ 1980 წლის 24 დეკემბერს მიიღო. აღნიშნული განცხადება მინისტრის თანაშემწემ ან. ბ. მეგრელიშვილმა, შეხედულებისამებრ, შესასრულებლად კადრების სამმართველოს გადასცა. კადრების სამმართველოს უფროსის განკარგულებით 26 დეკემბერს ეს განცხადება ისევ კანცელარიის დაუბრუნდა. კანცელარიის გამგემ ან. ნ. ბერიშვილმა, შეხედულებისამებრ, განცხადება 30 დეკემბერს სკოლების სამმართველოს გადასცა. სკოლების სამმართველოდან განცხადება იმავე დღესვე კანცელარიის დაუბრუნდა. ამჯერად ან. ნ. ბერიშვილმა განცხადება საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს გადასცა, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა მისი შესწავლა, თუმცა საღამოს სკოლების სამმართველომ ამ განცხადების შესწავლა არ მიიჩნია თავისი კომპეტენციის საქმედ და კვლავ კანცელარიის დაუბრუნა. კანცელარიის გამგე იძულებული შეიქნა განცხადება შემსრულებლის დასადგენად გადაეცა მინისტრის პირველი მოადგილის ან. ზ. ლომიძისათვის, რომლის განკარგულებით განცხადება ბოლოს და ბოლოს, 10 დღის მოგზაურობის შემდეგ, საღამოს სკოლების სამმართველოს დაუბრუნდა.

აქვე შეენიშნავეთ, რომ შემოადნიშნულ დოკუმს ადგილი არ ექნებოდა, მინისტრის თანაშემწე და შემდეგ სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებში უფრო მეტი ყურადღებით რომ გასცნობოდნენ მის შინაარსს, რამეთუ განცხადების შინაარსი ნათლად მიგვანიშნებს, ვის კომპეტენციაში შედის მასში დაყენებული საკითხის გადაწყვეტა.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ ხელმოუწერელი განცხადება თბილისის რეაქციან სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ 1980 წლის 26 დეკემბერს მიიღო და შემსრულებელს, საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების გამგეს, გადაუგზავნა 10 დღის შემდეგ — 1981 წლის 5 იანვარს.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან თერჯოლაში მცხოვრებ თ. ჩა-



ფიძის განცხადება დახელოვნების კურსების გავლასთან დაკავშირებით კადრების სამმართველომ მიიღო მიმდინარე წლის 7 იანვარს და 21 დღის შემდეგ — 28 იანვარს შესასრულებლად გადაუგზავნა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს. ასევე, კადრების სამმართველოში მიმდინარე წლის 8 იანვარს მიღებული გლდანის რაიონში მცხოვრებ ვ. ბროვეის განცხადება სამუშაოზე მოწყობის შესახებ 19 დღის შემდეგ, 27 იანვარს, რეაგირებისათვის გადაეგზავნა თბილისის განათლების სამმართველოს.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ მიმდინარე წლის 19 მარტს მიღებული მშობელთა კოლექტიური განცხადება საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში სკოლის მშენებლობის შესახებ და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან 24 მარტს მიიღებული ნ. სამხარაძის განცხადება სოფელ ცხამში საშუალო სკოლის მშენებლობის შესახებ 12 დღის შემდეგ რეაგირებისათვის გადაუგზავნა საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებას.

სახალხო განათლების ინსპექცია

ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების შრომითი
უფლებების უხეშ დარღვევათა შეცხადება

საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სახალხო განათლების ხაზით უხეშად ირღვევა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისათვის კანონით მინიჭებული შრომითი უფლებები, სახელდობრ აღმინისტრაციის, ზოგჯერ კი სხვა ორგანოების ინიციატივით. დეპუტატებს სამუშაოდან, სკოლიდან, სკოლისგარეშე და სახალხო განათლების სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებიდან ითხოვენ საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმების გარეშე. ასევე ადგილი აქვს დისციპლინური დასჯის მიზნით დეპუტატების, საბჭოებთან შეთანხმების გარეშე, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევებს.

სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმების გარეშე სამუშაოდან დათხოვნილი არიან: ორჯონიკიძის რაიონის წიფის, ვანის რაიონის კიროვისა და ტაბიძის სახელობის, წყალტუბოს ზონის გეგუთის, ქარელის რაიონის დარბის საშუალო სკოლების დირექტორები: ვ. ტალახაძე, დ. კორძაძე, თ. ლასხიშვილი, ზ. გაბედავა, ნ. გოგიჩაიშვილი და სხვა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იმის გამო, რომ დეპუტატის სამუშაოდან გათავისუფლება წინასწარ არ იყო საბჭოსთან შეთანხმებული, სამუშაოზე აღდგენილ იქნენ ისეთი პირებიც კი, რომლებიც შრომითი ვალდებულების უხეში დარღვევის შედეგად სამუშაოდან დათხოვნას ნამდვილად იმსახურებდნენ.

ბოლო დროს ადგილებზე ისევ გახშირდა განათლების სამინისტროს ნომენკლატურულ მუშაკთა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა სამინისტროდან წინასწარი თანხმობის მიღებამდე (ახმეტის, დმანისის, ორჯონიკიძის, წყალტუბოს რაიონები).

შრომის კანონმდებლობის დარღვევის ზემოაღნიშნული ფაქტები კვლავ მეორდება, ზოგჯერ კი მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 30 იანვრის № 05-1-915 ცირკულარული წერილით „ნომენკლატურულ მუშაკთა“

შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ“ სახალხო განათლების განოებს დავალებული აქვთ არ დაუშვან მსგავსი შემთხვევები.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსმა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა:

1. 1. დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ამ ბრძანებაში დასახელებული და მსგავსი კანონსაწინააღმდეგო დარღვევები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი რომელიმე ორგანო კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოახდენს სახალხო განათლების მუშაკთა პირად შემადგენლობაში რაიმე ცვლილებებს, განათლების განყოფილების გამგეებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ პირადად მოახსენონ განათლების სამინისტროს.

1. 2. ვაფრთხილებ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომ მომავალში მსგავსი დარღვევისათვის ისინი მკაცრად დაისჯებიან.

1. 3. კადრების სამმართველომ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მუშაკების დათხოვნის, გადაყვანისა და დაქვეითების შესახებ პროექტების ადგილებიდან წარმოდგენის ყოველი ცალკე შემთხვევის შესახებ მომახსენოს პირადად მე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი

მ. ჭინჭლაძე



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და
 საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს
 პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ივლისის დადგენილება

მზობელთა საყოველთაო პედაგოგიური განათლებისა და
 მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში
 სახალხო უნივერსიტეტების როლის გაძლიერების
 შესახებ სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების
 გადაწყვეტილებათა შუქზე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ რომ ხელმძღვანელობენ რა სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების და იდეოლოგიურ-აღმზრდელითი მუშაობის საკითხებზე მიღებული დადგენილებებით განათლების საოლქო, საქალქო და რაიონული ორგანოები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებრივი და სამეცნიერო-მეთოდური საბჭოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მზობელთა პედაგოგიზაციისა და მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

გაიზარდა მსმენელთა კონტინგენტი, შეიცვალა უნივერსიტეტების მსმენელთა სოციალური შემადგენლობა. დღეისათვის მოქმედებს 169 სახალხო უნივერსიტეტი, სადაც მეცადინეობს 42740 მსმენელი, აქედან 28493 ქალაქად, 14247 სოფლად.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ახალი კონსტიტუციის, ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების, მისი მრგონებების „მცირე მიწის“, „ალორძინებისა“ და „ყამირის“ შესწავლამ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიმდინარე წელს საქართველოს კომპარტიის 26-ე და სკკპ 26-ე ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ანხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ყრილობაზე გაკეთებულ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესწავლა-განხილვას. ყველა სახალხო უნივერსიტეტში დამუშავდა ამ ფორუმისადმი მიძღვნილი თემები, რიგ უნივერსიტეტში კი შეიქმნა სპეციალური ფაკულტეტები.

თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს მუშაობა მასების პედაგოგიზაციისათვის, ახალი ფაკულტეტების შექმნისა და სწავლების აქტიური ფორმებისა და მეთოდების დასაწერად, იმატა ახალგაზრდა მსმენელთა რიცხვმა, რაც შესაძლებლობას იძლევა უფრო ქმედითად დავებმართო იმ ოჯახებს, სადაც იზრდებიან სასკოლო ასაკის ბავშვები.

მთელი რიგი რაიონების, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სისტემის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც აღნიშნული იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის 1978 წლის 30 მარტის ერთობლივ გადაწყვეტილებაში.

მსმენელთა სურვილებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სახალხო უნივერსიტეტებში იკითხება თემები, რომლებიც ეხება პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, იდეური და შრომითი, მეცნიერული ათეიზმის, მორალური და სამართლებრივი, სანიტარიულ-ჰიგიენური და ესთეტიკური აღზრდის აქტუალურ საკითხებს, ლექტორები და მსმენელები ფართოდ იყენებენ მასალებს, რომლებიც ქვეყნდება როგორც სააკაშირო, ასევე რესპუბლიკური პედაგოგიური პრესის ფურცლებზე, მსმენელების წინაშე გამოდიან გამოჩენილი მეცნიერები, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, კულტურის მოღვაწეები, ღვაწლმოსილი პედაგოგები.

აჭარის ასსრ-ში განუხრელად იზრდება მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების წვლილი მოსწავლეთა მშობლების პედაგოგიზაციის, მათი იდეურ-პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალურ-ზნეობრივი აღზრდის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავების საქმეში. 11 რაიონულ სახალხო უნივერსიტეტში და მათ 45 ფილიალში 1980 წლისათვის სწავლობდა 3,5 ათასზე მეტი მსმენელი, მიმდინარე წელს კი მსმენელთა რიცხვმა 6,0 ათასს მიაღწია. ჩატარებული ლექციების აქტუალობით, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნებით, ღონისძიებების მასობრიობით, მსმენელთა აქტივობით გამოირჩეოდნენ მშობელთა პედაგოგიური ცოდნის ბათუმის საქალაქო უნივერსიტეტი (რექტორი ი. ბიბილაშვილი), მახვილურის რვაწლიან სკოლასთან არსებული უნივერსიტეტის ფილიალი (პრორექტორი ა. მურადაშვილი).

მსმენელებისათვის ნაცნობ, ყოველდღიურ მაგალითზე დაყრდნობით ანალიზდება აღზრდის აქტუალური საკითხები, კეთდება კონკრეტული დასკვნები. კასპის რაიონის სახალხო უნივერსიტეტში, სადაც სკოლათმცოდნეობის და სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემების ფაქულტეტებზე სწავლობს 1605 მსმენელი (რექტორი მ. შაქარაშვილი), ხშირია პროკურატურის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მუშაკების გამოსვლები ყვარლის მე-2 საშუალო სკოლასთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა მეცადინეობებზე (რექტორი რ. შავგულიძე).

დიდი და საინტერესო გამოცდილებაა დაგროვებული დ. უზნაძის სახ. მშობელთა უნივერსიტეტში, რომელიც ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლასთან 1947 წლიდან მუშაობს (რექტორი ქ. ნადირაძე), ქ. ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტში (რექტორი გ. გაბრიაძე).

კარგად მუშაობენ სახალხო უნივერსიტეტები აფხაზეთის ასსრ, ქ. ზუგდიდში, აბაშის, საჩხერის, ცაგერის რაიონებში. ლანჩხუთისა და მცხეთის სახალხო უნივერსიტეტების მსმენელთა მეცადინეობებზე ყურადღება მახვილდება ძნელადღასაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა ოჯახებთან მუშაობაზე, რაც დადებით შედეგებს იძლევა. ამ რაიონებში სამართალდარღვევათა რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი, მკვეთრად შემცირდა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებში აღრიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა.

თელავის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტში (რექტორი ა. თვალთაშვილი), გორის რაიონის სოფელ ვარნიანის საშუალო სკოლასთან არსებულ პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტში (რექტორი რ. ჯირკველაშვილი) დიდი ყურადღება ეთმობა მშობელთა თვითგანათლების ორგანიზაციას, გამოცდილი ლექტორები ეხმარებიან მსმენელებს აირჩიონ მათთვის საინტერესო პრობლემა, საჭირო ლიტერატურა მასალის თეორიული სირთულის გათვალისწინებით, გამოიყენონ მიღებული ცოდნა რეფერატების, ლექციების, საუბრების მომზადებაში.

მოპოვებულ წარმატებებთან ერთად პედაგოგიური ცოდნის სა-

ხალხო უნივერსიტეტის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები:

მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული იყო სახალხო უნივერსიტეტებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სპეციალური ფაკულტეტების და სამეცნიერო-პედაგოგიური ცოდნის უნივერსიტეტების შექმნა, დღეისათვის რესპუბლიკაში ამ მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე სახალხო უნივერსიტეტი არსებობს.

რიგ რაიონებში (ქარელი, მესტია, მარნეული, წალენჯიხა, ბორჯომი, გარდაბანი, დმანისი) დღეისათვის არ მუშაობენ მშობელთა სახალხო უნივერსიტეტებიც, ცალკეულ სახალხო უნივერსიტეტში ადგილი აქვს მსმენელთა დენადობას, რაც ხელს უშლის მშობელთა პედაგოგიზაციის სისტემურობას. სამხრეთ ოსეთის ა/ო, გეგეჭკორისა და წალკის რაიონების სახალხო უნივერსიტეტებში არ ითვალისწინებენ მსმენელების ინტერესებს, ადგილობრივ პრობლემებს, იფარგლებიან მხოლოდ ლექციური ტიპის მეცადინეობებით.

ჯერ კიდევ დაბალია იმ უნივერსიტეტების ხვედრითი წონა, სადაც მუშაობენ ისეთი ფაკულტეტები, როგორიცაა: სადამრიგებლო, დაწყებითი კლასების, საგნობრივი, ახალგაზრდა მშობლებისათვის.

მშობელთა უნივერსიტეტებმა ვერ გამოაჩინეს თავისი ძალები მოსწავლეთა პროფორიენტაციის საქმეში.

გარდასაქმნელია სახალხო უნივერსიტეტების ლექტორთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული მდგომარეობა.

რიგ რაიონებში სუსტად იყენებენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობებს. გაწყვეტილია კონტაქტები რაიონის კულტურის კერებთან, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მომავალ თაობაზე სკოლის, საზოგადოებისა და ოჯახის ერთობლივ ზეგავლენას. მშობელთა პედაგოგიზაციის საქმეში უმნიშვნელოა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების წვლილიც.

სათანადოდ არ წარმოებს მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რადიო და ტელევიზია, რესპუბლიკური პრესა აქტიურ პროპაგანდას უწევენ პედაგოგიურ ცოდნას, განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები, სახალხო უნივერსიტეტები მაინც სათანადოდ ვერ იყენებენ ამ მასობრივი პრო-

პაგანდის საშუალებებს. არსებითად გარდასაქმნელია განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობი საბჭოს მუშაობა.

სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების დადგენილებებიდან გამომდინარე, პროპაგანდისტული მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმის, როგორცაა სახალხო უნივერსიტეტები სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და პარტიული ამოცანის — მშრომელთა საყოველთაო პედაგოგიზაციის წარმატებით შესასრულებლად, ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პრეზიდიუმმა

დაადგინეს:

1. გადაისინჯოს პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების განვითარების პერსპექტიული გეგმა. გაიზარდოს უნივერსიტეტების, ფაკულტეტებისა და ფილიალების ხვედრითი წონა, რომელშიც გაერთიანებულნი იქნებიან პედაგოგები, ახალგაზრდა მშობლები.

2. დაევალოს რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებთან ერთად, პარტიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეიმუშაონ პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტიული გეგმა, რათა ხუთწლედის დასასრულამდე მაქსიმალურად უზრუნველყონ მშობელთა ჩაბმა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებში, ხოლო მასწავლებელთათვის შექმნან ყველგან კვალიფიკაციის ასამაღლებელი სახალხო უნივერსიტეტები.

3. დაევალოს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით (ამხ. გ. საყვარელიძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ (ამხ. მ. დარჩია) ინსტიტუტებს შეიმუშაონ ტიპობრივი პროგრამები რესპუბლიკაში არსებული სახალხო უნივერსიტეტების ყველა ტიპის ფაკულტეტებისათვის, ქმედითი დახმარება გაუწიონ როგორც მშობელთა პედაგოგიური ცოდნის, ასევე სამეცნიერო-პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებს. ამ მიზნით მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს ხელშემწყობ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინონ ლექციების თემატიკა საბჭოთა სკოლის, ზოგადი პედაგოგიკის, დიდაქტიკის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებზე.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) განათლების სამინისტროსთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს კონკრეტული გეგმა ცენტრალური და მასწავლებელთა დახელოვნების ზონალური ინსტიტუტების ბაზაზე სახალხო უნივერსიტეტების ლექტორთა გადასამზადებლად.

5. რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებებთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობ საბჭოებთან შეიქმნას სპეციალური მეთოდური სამსახური სახალხო უნივერსიტეტების ლექტორ-მასწავლებელთა დასახმარებლად.

6. სახალხო უნივერსიტეტების რექტორატებს დაევალოთ: პერიოდულად მოაწიონ გასვლითი მეცადინეობები მშობელთა სამუშაო ადგილებზე — ქარხანა-ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში:

ა) ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ფართოდ გამოიყენონ სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, რათა უზრუნველყონ მსმენელებისადმი დიფერენცირებული მიდგომა;

ბ) მშობელთა პედაგოგიზაციის სახალხო უნივერსიტეტებმა გაზარდონ მსმენელთა რაოდენობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ძნელადადსაზრდელ მოსწავლეთა მშობლებს, აგრეთვე იმ ოჯახებს, რომლებსაც განსაკუთრებულად ჭირდებათ პედაგოგიური კულტურის ამაღლება;

გ) სახალხო უნივერსიტეტების მუშაობაში ფართოდ ჩააბან ჯანმრთელობის დაცვის, იუსტიციის, სამართალდაცვის ორგანოები, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებები;

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სწავლების კურსში იდეურ-პოლიტიკური და სპეციალური მომზადების ორგანულ შერწყმას, მსმენელთა ჩაბმას კვლევით მუშაობაში, გამოუმუშაონ მათ თვითგანათლების, ლექტორული მუშაობის უნარჩვევები.

7. სახალხო განათლების ორგანოებმა პედაგოგიური კადრების ატესტაციის დროს გაითვალისწინონ მასწავლებელთა პროპაგანდისტული მუშაობა და მათი მონაწილეობა სამეცნიერო-პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებში.

8. განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების ხელშეწყობმა საბჭომ ქმედითი ზომები განახორციელოს რესპუბლიკაში პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის ერთიანი სისტემის შესაქმნელად. გააძლიეროს კონტროლი სახალხო უნივერსიტეტებში მეცადინეობის ხარისხის, იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. პერიოდულად მოისმინოს საბჭოს სხდომებზე განათლების განყოფილებებისა და სახალხო უნივერსიტეტების ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

9. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) ფართოდ გააშუქოს მშობელთა პედაგოგიზაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობა, შეაჯამოს მოწინავე გამოცდილება.

10. მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა შემოწმდეს 1983 წლის მაის-ივლისში.

11. მიღებული დადგენილება დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი

მ. ჭინჭაიძე

საქართველოს სსრ საზოგადოება

„ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე,

საქართველოს სსრ სახალხო

უნივერსიტეტების საბჭოს თავ-

მჯდომარე

ნ. კომახიძე

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის
30 ივნისი—2 ივლისის გადაწყვეტილება**

სკკპ 26-ე ყრილობის მოთხოვნათა შუქზე ქ. თბილისის ლენინისა და
გლდანის რაიონების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის
განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების
მუშაობის შენახება

სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომი-
ტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ქალაქ თბილისის ლენინისა და
გლდანის რაიონების განათლების ორგანოებმა და პროფკავშირის კო-
მიტეტებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და
დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს სკოლამდელ
დაწესებულებებში შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის
შემდგომი ამაღლებისათვის.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის საკითხებს
პერიოდულად იხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების
აღმასკომების სხდომებზე, სახალხო განათლების საბჭოებზე, პროფკავ-
შირის რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმებსა და პლენუმებზე.

გარკვეული ღონისძიებები ტარდება სკოლამდელ დაწესებულე-
ბათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მეათე ხუთწლედში
ამ რაიონებში აშენებულ იქნა 18 სკოლამდელი დაწესებულება 5040
ბავშვადგილით; მიმდინარე წელს გლდანის რაიონში გაიხსნა ორი
12-12 ჯგუფიანი ბაგა-ბაღი 560 ბავშვადგილით.

გასულ წელსა და მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში ლენინის
რაიონის სკოლამდელი დაწესებულებებისათვის შექმნილ იქნა 130.000
მანეთის მაგარი და რბილი ინვენტარი, ასევე საკმაო რაოდენობის
თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები.

ამჟამად, ლენინის რაიონში 37 სკოლამდელი დაწესებულებაა

7046 აღსაზრდელით, აქედან 24 განათლების სისტემის — 5170 აღსაზრდელით, ხოლო გლდანის რაიონში კი 29 დაწესებულება 6140 აღსაზრდელით, აქედან განათლების სისტემისაა 25, 5288 ბავშვით.

ლენინისა და გლდანის რაიონების ბაგა-ბაღების შენობების უმრავლესობა აგებულია ტიპური პროექტებით.

საჭირო ღონისძიებებია დასახული სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მე-11 სესიის მიერ 1979 წლის 15 ივნისს მიღებული დადგენილების სარეალიზაციოდ. ამ მიზნით განათლების განყოფილებებს შედგენილი და აღმასკომის სხდომებზე დამტკიცებული აქვთ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, შენობების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების 1981-85 წლების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მეთერთმეტე ხუთწლედში ლენინის რაიონში უნდა აშენდეს 5 ბაგა-ბაღი, ხოლო გლდანის რაიონში — 6.

ახალი ბაგა-ბაღების შენობების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების, მაგარი და რბილი ინვენტარით მომარაგების საქმეში მონაწილეობენ შეფი ორგანიზაციები.

საშეფო ორგანიზაციებს ერთი ნაწილი საჭირო დახმარებას უწევს სკოლამდელ დაწესებულებებს, ამ მხრივ აღსანიშნავია კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ქარხანა „ელექტროიზოლიტის“, ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო დეპოს, № 54 მექანიკური კოლონის, ბეტონის ქარხნის, მაღლივმშენის მე-10 ტრესტის მე-3 სამშენებლო სამმართველოს და სხვა შეფი ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინოებითა და სათამაშოებით უზრუნველყოფაში.

წინა წლებთან შედარებით ამაღლდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის მაჩვენებელი, რაც შეადგენს ლენინის რაიონში 80%-ს, ხოლო გლდანის რაიონში კი 75%-ს.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სკოლამდელ დაწესებულებებში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა, ასევე ბავშვთა ფიზიკური განვითარება და სამედიცინო მომსახუ-

რება, შემცირდა ავადმყოფობის მაჩვენებლები: გაუმჯობესდა ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმე. შემოწმების პროცესში ამ მხრივ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ლენინის რაიონის № 46-ე, 31-ე, 32-ე, 22-ე, 98-ე ბაგა-ბაღებმა, ავტოსარემონტო ქარხნის № 27-ე ბაღმა. გლდანის რაიონის 81-ე, მე-17, მე-100, 102-ე, 107-ე ბაგა-ბაღებმა.

ყურადღების ცენტრშია აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. გადაჭარბებითაა შესრულებული მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დახელოვნების კურსებზე გაგზავნის გეგმა. განათლების ორგანოებთან შექმნილია სათანადო მეთოდური კაბინეტები, პერიოდულად ტარდება მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, რაიონული კონფერენციები, საჩვენებელი ღია მეცადინეობები. სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში შექმნილია შიდამეთოდური კაბინეტები, რომლებშიც საკმაო რაოდენობით აქვთ, როგორც მეთოდური, ასევე პედაგოგიური პერსონალის ხელით გაკეთებული სასწავლო ხელსაწყოები, საილუსტრაციო მასალები.

სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეწყობა რაიონული სემინარები, ტარდება მეთოდგაერთიანებათა სხდომები და სექციური მუშაობა რაიონების მიხედვით. ეწყობა სოლამდელი ასაკის ბავშვთა და აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა.

ბავშვთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით საღმრთადად დღეებში ტარდება ბავშვთა თვითმოქმედების დათვალიერებანი. ეწყობა ბავშვთა კოლექტიური დასწრება თოჯინების თეატრსა და საბავშვო სპექტაკლებზე.

ყურადღება ექცევა სახვითი საქმიანობის სწავლებას. გამოცდილების გაზიარების მიზნით პერიოდულად ტარდება ღია მეცადინეობები, ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია-კონსტრუირებანი, ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები. ეწყობა ბავშვთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი. აღსაზრდელთა ერთი ნაწილი ზაფხულში გაყავთ აგარაკებზე, ხოლო ქალაქებში დარჩენილი ბავშვებისათვის ეწყობა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მოედნები.

რიგი ღონისძიებანი ტარდება მშობელთა პედაგოგიზაციისათვის, ამ მიმართებით სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნილია მშობელთა კომიტეტი, მოწყობილია მშობელთა კუთხეები.

ყოველწლიურად ეწყობა სკოლამდელი დაწესებულებების ადგილკომის თავმჯდომარეთა და პროფაქტივის სწავლება პროფკავშირული



მუშაობის ძირითად საკითხებზე, ადგილკომის სხდომებზე, საკომპლექსო თათბირებზე და საერთო კრებებზე გეგმაზომიერად იხილება სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობისა და ბავშვთა აღზრდის ცალკეული საკითხები. გაუმჯობესებულია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

ამასთან ერთად, ქ. თბილისის ლენინისა და გლდანის რაიონების სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

ამ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მოთხოვნები, რომელიც შეეხება მშენებარე შენობების პირველ სართულებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სათავსოების გამოყოფას.

გასულ წლებთან შედარებით, მიუხედავად გაუმჯობესებისა, არ სრულდება სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმისა და გამტარიანობის სახალხო-სამეურნეო გეგმა. ლენინის რაიონში სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის გეგმა შესრულებულია 98%, ხოლო ბავშვთა გამტარიანობის 1980 წლის გეგმა — 97,70%-ით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი 98,3%-ით, შესაბამისად გლდანის რაიონში ბავშვთა ჩაბმის გეგმა შესრულებულია 90,4%-ით. გამტარიანობის 1980 წლის გეგმა 85,6%-ით, 1981 წლის 1-ლი კვარტლის — 82,2%-ით. ძალზე დიდია სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვდღეთა გაცდენის შემთხვევები. შემოწმების დღისათვის (1—6 ივნისი) საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ბავშვთა დასწრების მაჩვენებელი იყო საშუალოდ 65—70%. ზოგიერთ მათგანში კი უფრო დაბალიც: კერძოდ, ლენინის რაიონის № 61 ბაგა-ბაღში 210 ბავშვიდან შემოწმების დღეს ესწრებოდა 100, № 43-ში 148-დან — 97. № 76-ში 150-დან — 72, № 65 საბავშვო ბაღში 120-დან — 60, № 62 ბაღში 245-დან — 87, ჩარხმშენებლობის საწარმოო გაერთიანების № 48 ბაგა-ბაღში 290-დან—106, გლდანის რაიონის 48-ე ბაგა-ბაღში 117-დან—67, № 53-ე ბაგა-ბაღში 178-დან—89, № 104-ში 250-დან 11, № 21-ში 160-დან 71, რაც იმის მიზეზია, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიურ კოლექტივებს საკმაოდ კონტაქტი არა აქვთ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მშობლებთან.

ჯერ კიდევ დაბალია სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის დონე. ამ რაიონების განათლების სისტემის 49 სკოლამდელი დაწესებულებიდან შეგუებულ შენობებშია მოთავსებული 4 საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი. სკოლამდელ დაწესებულებათა 25%-ში მატერიალური ბაზის უქონლობის გამო მოუწესრიგებელია ბავშვთა ძლის ორგანიზაცია, გადაუდებელი კაპიტალური შეკეთება ესაჭიროება ლენინის რაიონის № 95-ე ბაგა-ბაღის შენობას. მუშაობის არავითარი ნორმალური პირობა არა აქვთ შექმნილი გლდანის რაიონის № 89-ე საბავშვო ბაღს, რომელიც მოთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის ოროთახიან ბინაში.

სკოლამდელი დაწესებულებების ერთ ნაწილს არ გააჩნია საჭირო რაოდენობის მაგარი და რბილი ინვენტარი. დიდი რაოდენობით აკლიათ ბავშვთა ტანსაცმლის კარადები, სახანძრო ინვენტარი, მედიკამენტები და სხვა.

მთელ რიგ ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ინვენტარი მოძველებულია და საჭიროებს შეცვლას. სკოლამდელი დაწესებულებების მაგარი და რბილი ინვენტარით მომარაგების და ასევე სამეურნეო და სასწავლო ხარჯების ათვისების საქმეში ყოველად მოუთმენელი მდგომარეობაა გლდანის რაიონში. ამ რაიონის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტრის ი. თორაძის მიზეზით, კერძოდ, 1980 და 1981 წლის ბალანსის ჩაუბარებლობის გამო, საფინანსო განყოფილებამ სკოლამდელ დაწესებულებებს 8 თვეა შეუწყვიტა დაფინანსება, გარდა ხელფასისა და კვების თანხებისა, რითაც სკოლამდელმა დაწესებულებებმა ამ პერიოდში ვერ შეიძინეს და დააკლდათ გეგმით გათვალისწინებული 60900 მანეთის მაგარი და რბილი ინვენტარი, სასწავლო და სამეურნეო ხარჯები.

სახალხო განათლების ორგანოები, სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელები და პროფკავშირის კომიტეტები არასაკმაროდ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს და რეზერვებს სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის ზოგიერთი შეფი ორგანიზაციის ასამოქმედებლად. სამეფო ორგანიზაციებიდან სრულე-ბით არ გაუწევიათ საშეფო დახმარება მესამე სატვირთო-საავტომობი-ლო კანტორას № 61-ე ბაგა-ბაღისათვის, საგზაო-საექსპლოატაციო კან-



ტორას № 44-ე ბაგა-ბალისათვის, „გოსტანდარტს“ — № 62-ე საბავშვო ბალისათვის, „მინსელხოზს“ — № 101-ე ბაგა-ბალისათვის.


მიუხედავად კვების ბლოკის მუშაობის გაუმჯობესებისა, ამ საქმეში კვლავ არსებობს ნაკლოვანებები. ბაგა-ბალები არ მარადდება სათანადო ხარისხის ბოსტნეულით და ხილით. ასევე ხშირად ფერხდება კომპოტების შემოტანა, რის გამოც ბავშვებს არ ეძლევათ ნაირფეროვანი კერძები არსებული ნორმების მიხედვით.

ზოგიერთ საბავშვო ბაღს და ბაგა-ბაღს აკლია სამზარეულოებისა და სასადილოებისათვის საჭირო ინვენტარი და ტექნიკური მოწყობილობა. № 65-ე საბავშვო ბაღში არასწორად ადგენენ მენიუს, ხშირად მესამე თავი კერძის ნაცვლად (რაც ითვისისწინებს კისელს, კომპოტს, წვენს). იცემა კანფეტი. მსგავსი შემთხვევებია ზოგიერთ ბაგა-ბაღებშიც. გაუმჯობესებას მოითხოვს კვების პროდუქტების შეზიდვის ორგანიზაციისა და ამ დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმე.

ადგილი აქვს სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა გადატვირთვის შემთხვევებს. ლენინის რაიონის № 46-ე ბაგა-ბაღის ჯგუფებში საშუალოდ 40 ბავშვია, ხოლო ზოგიერთ ჯგუფში კიდევ მეტიც—ნაცვლად ნორმით დაწესებული 25-ისა, ამავე რაიონის № 95-ე ბაგა-ბაღის ბაგის ჯგუფებში ნაცვლად 15-20 ბავშვისა, არის 25-30 ბავშვი. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა ბაგა-ბაღებშიც. ყოველივე ეს სერიზულად აფერხებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურ წარმართვას, სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას, უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

გაუმჯობესებას მოითხოვს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა მე-18, 48-ე და 88-ე ბაგა-ბაღებში (გამგეები: მ. მოხვეიშვილი, ვ. არჩვაძე და ლ. მანჯავიძე), გლდანის რაიონის მე-3, მე-5 და მე-7 მიკრორაიონების ტერიტორიაზე საერთოდ უსუფთაობაა, არ იწმინდება საცხოვრებელი ბინების ბუნკერები. სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებზე დიდ გავლენას ახდენს დღის საათებში წყლის უქონლობა.

ამ რაიონების ბაღებისა და ბაგა-ბაღების გამგეებისა და აღმზრდელთა შემადგენლობის 30—35% საშუალო სპეციალური განათლებითაა, რომელთაგან ძალზე ცოტანი არიან ჩაბმული დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში.



მიუხედავად სადირექტივო ორგანოების მითითებებისა, ადგილი აქვს საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებებში განათლების განხორციელებას გვერდის ავლით პედაგოგიური ცენზისა და გამოცდილების გაუთვალისწინებლად, არაკვალიფიციური კადრების დანიშვნის შემთხვევებს. ამის შედეგია, რომ ელექტროგაერთიანების 88-ე ბაგა-ბაღში 10 აღმზრდელი არასპეციალისტია, ავტოშემკეთებელი ქარხნის 27-ე ბაგა-ბაღში — 5. წინდების ფაბრიკის № 85-ე ბაღში — 4, ამიერკავკასიის ტრანსპორტის მშენებლობის № 47-ში — 8 აღმზრდელი.

სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდკაბინეტების ერთი ნაწილი არასათანადოდაა მოწყობილი (№ 43-ე ბაგა-ბაღის გამგე ლ. ქოქოშვილი), ზოგჯერ უკონტროლოდაა მიტოვებული აღმზრდელთა გეგმები. ბაგა-ბაღის მეთოდისტებს და აღმზრდელებს არასაკმაო კონტაქტი აქვთ დამყარებული ქალაქის სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტთან. ნაკლები რაოდენობით ეწყობა მოწინავე მეთოდისტებისა და აღმზრდელების მუშაობის შესწავლა-განზოგადება.

შემოწმებულ ბაღებსა და ბაგა-ბაღების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებელია მშობელთა პედაგოგიზაციის მიმართულებით გაწეული საქმიანობა, ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. ხშირ შემთხვევაში პედაგოგიურ საბჭოებზე განხილული საკითხები და მიღებული დადგენილებები ტრაფარეტული, გაუმართავი ენითაა შედგენილი და არაეფექტურია. ზოგჯერ მოსმენილ საკითხზე დადგენილებაც კი არა აქვთ მიღებული.

ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა სკოლამდელი დაწესებულებების ერთ ნაწილში შრომის შინაგანაწესი გამოკრული არ არის თვალსაჩინო ადგილზე. მომუშავეთა ერთ ნაწილს წესრიგში არა აქვს შრომის წიგნაკები და პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეები. ზოგჯერ არასათანადოდაა გაფორმებული ბრძანების წიგნები.

ნაკლოვანებებია სკოლამდელი დაწესებულებების პროფკავშირის ადგილკომების მუშაობაში. ხშირ შემთხვევაში სუსტად მუშაობენ მათთან შექმნილი კომისიები, ნაკლოვანებებია სოციალისტური შეჯიბრების საქმეში, არასაკმარისი ყურადღება ექცევა აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, მის თვალსაჩინოებას და საჯაროობას. ზოგან არაეფექტურია საწარმოო თათბირების მუშაობა, ასევე ადგილკომის სხდომებსა და საერთო კრებებზე მიღებულ დადგენილებათა რეალიზაცია.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. ქალაქ თბილისის ლენინისა და გლდანის რაიონების განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებები სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მე-11 სესიის მიერ 1979 წლის 15 ივნისს მიღებული დადგენილების სარეალიზაციოდ და ამ შემოწმებით გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

— მკვეთრად გააუმჯობესონ დახმარება და ხელმძღვანელობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისადმი. პერიოდულად შეისწავლონ ამ დაწესებულებების მუშაობა და მათი რადიკალური გარდაქმნის მიზნით ეს საკითხი პრინციპულად განიხილონ აღმასკომების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის რაიონული კომიტეტების სხდომებზე;

— გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელის გაზრდის და მათში ბავშვთა კონტინგენტის გადიდებისათვის;

— მეტი ყურადღება დაუთმონ ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, შენობების გაფართოება-რეკონსტრუქციას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარებასა და მათ უზრუნველყოფას ინვენტარითა და ავეჯით. ამასთან, ფართოდ გამოიყენონ თანხების კოოპერირების პრაქტიკა;

— პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით მიაღწიონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის საშეფო ორგანიზაციების დახმარების გაძლიერებას. ამასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესრულებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება სათავსოების გამოყოფას მშენებარე შენობების პირველ სართულებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის;

— გადამჭრელი ღონისძიებები გაატარონ ბავშვთა კვების ორგანიზაციისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად,



ამაღლონ ამ საქმეში სკოლამდელი დაწესებულებების გამგეებებსა და სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა;

— მკაცრად გააფრთხილონ საბავშვო ბაღებისა და ბავშვ-ბაღების გამგეები, რომლებსაც მოშობელთა შორის პედაგოგიური პრობლემების დაბალი დონის გამო. დიდი რაოდენობით აქვთ ბავშვდღეთა გაცდენის შემთხვევები;

— ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ბავშვთა აღზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, ყურადღება მიაქციონ საფინანსო დისციპლინის დაცვას ამ დაწესებულებებისათვის მაგარი და რბილი ინვენტარის შესაძენად, აგრეთვე სასწავლო და სამეურნეო ხარჯებზე გამოყოფილ ასიგნებათა დროულ და სრულ ათვისებას. ბავშვთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გაფართოებას;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ დაწესებულებათა დაკომპლექტებას შესაფერისი კადრებით, გაატარონ ღონისძიებები აღმზრდელთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; ფართოდ დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება, იზრუნონ ახალგაზრდა სპეციალისტთა მიზიდვისა და მათთვის ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

— მტკიცედ დაიცვან სადირექტივო ორგანოების მითითებანი იმის შესახებ, რომ უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური კადრების შერჩევა-დანიშვნა მოხდეს განათლების განყოფილებათა რეკომენდაციით.

2. ლენინისა და გლდანის რაიონების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და პროფკავშირის ადგილკომებმა გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა;

— მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკოლამდელი აღზრდის შესახებ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დადგენილებებით, ბრძანებებითა და მითითებებით;

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის ცნობილი დადგენილებიდან გამომდინარე

ნარე და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1980 წლის 24 ივნისის № 450 ბრძანების „რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა შრომითი აღზრდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების შესახებ“ შესასრულებლად დასაზონ კონკრეტული ღონისძიებები შრომითი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. შრომისადმი პატივისცემა, მოაწყონ შრომის-კუთხეები;

— გადამკრელი ზომები მიიღონ ბავშვდღეთა უმიზეზოდ გაცდენის მინიმუმამდე შესამცირებლად, რისთვისაც გაზარდონ აღმზრდელთა პასუხისმგებლობა. გააძლიერონ პედაგოგიური პრობაგანდა მშრომელთა ფართო მასებში;

— კიდევ უფრო ქმედითი გახადონ სოციალისტური შეჯიბრება, მისი თვალსაჩინოება, სისტემატურად იზრუნონ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების და საწარმოო თათბირების მუშაობა, მიაღწიონ მათზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

— იზრუნონ მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, შენობანაგებობათა და ეზოების სრულ წესრიგში მოყვანისათვის, მათი კეთილმოწყობისა და ესთეტიკური გაფორმებისათვის, საჭირო ინვენტარითა და სააღმზრდელო-დიდაქტიკური მასალით აღჭურვისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის, ამ მიზნით საჭირო კონტაქტი დაამყარონ შეფ ორგანიზაციებთან და მაქსიმალურად გამოიყენონ მათი დახმარება;

— გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე, სისტემატურად იზრუნონ აღმზრდელთა და სხვა მუშაკთა კვალიფიკაციისა და მეთოდური დახელოვნების ამაღლებისათვის;

— იზრუნონ შრომის კანონმდებლობის განუხრელად გატარებისათვის. ყველა მუშაკს გააცნონ შრომის შინაგანაწესი და უზრუნველყონ მისი თვალსაჩინო აღვილზე გამოკვრა, უზრუნველყონ ყველა მომუშავე შრომის წიგნაკებით და სრულყონ პედაგოგთა და სხვა მუშაკთა პირადი საქმეები.

3. ეთხოვოს პარტიის ლენინისა და გლდანის რაიონულ კომიტეტებსა და რაისაბჭოს აღმასკომებს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები, რათა შეფმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა გააძლიერონ დახმარება საბავშვო სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებისადმი;

ბ) მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად საჭირო ღონისძიებები № 89-ე საბავშვო ბაღის შენობიდან მოსახლეობის გაყვანისა და ამ ბაღსა და № 95-ე ბაგა-ბაღში კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად;

გ) დაავადებულთა გლდანის რაიონის საბინაო დარგისა და სანეპიდსადგურის ხელმძღვანელები, რათა დიდი რაოდენობის ბუზების თავიდან ასაცილებლად მიიღონ საჭირო ზომები სკოლამდელი დაწესებულებების ირგვლივ ტერიტორიისა და საცხოვრებელი ბინების ბუნკერების სისტემატური დასუფთავებისათვის.

4. დაისვას საკითხი თბილისის საქალაქო საბჭოს წინაშე, რათა განიხილოს საკითხი გლდანისა და ლენინის რაიონების სკოლამდელი დაწესებულებების დღის საათებში წყლით უზრუნველყოფის შესახებ.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს წინაშე, მიიღოს საჭირო ზომები გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ასორტიმენტის გასაფართოებლად, რათა დაკმაყოფილდეს ყველა უწყების მოთხოვნილება საბავშვო ავეჯსა და ინვენტარზე.

6. ქ. თბილისის განათლების სამმართველომ ქმედითი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მეთოდოლოგიური და ბავშვთა მომსახურების ღონის შემდგომი ამალგებისათვის, მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

7. გლდანის რაიონის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი ი. თორაძე, რომელმაც ჩაშალა საბუღალტრო საქმიანობა, არ ჩააბარა გასული და მიმდინარე წლის წლიური და კვარტალური ბალანსები, დაფინანსება შეუწყვიტა რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, რის გამოც მათ ვერ აითვისეს და დააკლდათ კუთვნილი 60.900 მანეთის მაგარი და რბილი ინვენტარი, სასწავლო და საქურონეო ხარჯები, იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაევალოს გლდანის რაიონის განათლების განყოფილებას შრომის კანონმდებლობის ზუსტი დაცვით განიხილოს და გადაწყვიტოს ამ თანამდებობაზე ი. თორაძის შემდგომი

დატოვების საკითხი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომთან ერთად.

8. ლენინისა და გლდანის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა ეს გადაწყვეტილება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოებისა და სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და მის შესასრულებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებები. ანგარიში ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოადგინონ სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში ა/წლის 30 დეკემბრამდე.

9. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს (ამხ. გ. აბდუშელი-შვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჯოლაძე).

10. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
მ. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბ-
ლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

დ. იოსელიანი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება

1980 წელსა და მთლიანად მე-10 ხუთწლედში განათლების ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ათვისების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს საბიუჯეტო სახსრების დანიშნულებისამებრ, დროულად და სრულად ათვისების საქმეში.

განათლების მთელ რიგ დაწესებულებათა საქმიანობაში კვლავ აღინიშნება საგვეგმო დავალებების შეუსრულებლობის, სამტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის, მუშაკთა ხელფასის არასწორი ტარიფიკაციის, მცირეკომპლექტიანი სკოლებისა და კლასების არსებობის ფაქტები და სხვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 6 მაისის № 20/XIV დადგენილების „საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1980 წელს და მთლიანად მე-10 ხუთწლედში განათლების ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ათვისების შესახებ“ შესასრულებლად სახალხო განათლების შემდგომი განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა სრულად, დროულად და მიზნობრივად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. საგვეგმო-საფინანსო სამმართველოს ცნობაში აღნიშნულმა სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ საბიუჯეტო ასიგნებათა დავგვეგვისა და ხარჯვის საკითხისადმი, ამასთან:

— სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობათა დაწყვეტილებების ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელების მიზნით უზრუნველყონ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობებისათვის დროული რემონტის ჩატარება და მათი შესაბამისი ინვენტარ-მოწყობილობებით აღჭურვა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა კვების საკითხებს. გაატარონ ღონის-

ძიებები სკოლაში დაწესებულებებში, სკოლებში, საბავშვო სასკოლებში და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა კონტინენტის გვერდის შესასრულებლად;

— იზრუნონ მოსწავლეებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

— უზრუნველყონ დადგენილ ვადებში ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება და დაქვემდებარებულ დაწესებულებებისათვის დაგზავნა, განათლების შუშაყების ხელფასის განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით ხელფასების ტარიფიკაციის ჩატარება;

— განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მცირეკომპლექტიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების, აგრეთვე მცირეკომპლექტიანი კლასებისა და ჯგუფების თანდათანობით გამსხვილებისათვის;

— აღკვეთონ სახსრების უკანონო და არადანიშნულებით ხარჯვა. პირადი პასუხისმგებლობით სისტემატურად მიიღონ ოპერატიული ზომები იმ ვარაუდით, რომ დამტკიცებული თანხები არ დარჩეს აუთვისებელი;

— გაატარონ ღონისძიებანი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაცვისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ლიკვიდაციისათვის.

2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა აამლონ პასუხისმგებლობა მათზე დაქვემდებარებული დაწესებულებების მიერ დამტკიცებული საგეგმო დავალებების შესრულებასა და გამოყოფილ ასიგნებათა დროულ ათვისებაზე.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობასთან ერთად განსახილველად დაეგზავნოს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) შეიმუშაოს წინადადებანი რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე და შედეგები მოახსენოს კოლეგიას მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი

მ. ჰინჭლაძე

ც ნ ო ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით 1980 წელს და მთლიანად მე-10 ხუთწლედში განათლების ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ათვისების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა შენახვისათვის 1980 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმით გამოყოფილი აყო 330589 ათასი მანეთი, მათ შორის: რესპუბლიკური ბიუჯეტით — 35277 ათასი მანეთი და ადგილობრივი ბიუჯეტებით — 295312 ათასი მანეთი. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯებმა შეადგინა 325377 ათასი მანეთი, აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტით — 35047 ათასი მანეთი და ადგილობრივი ბიუჯეტებით — 290330 ათასი მანეთი, ანუ შესაბამისად შესრულებამ შეადგინა 99,3% და 98,3%.

1980 წლის საკასო შესრულება მუხლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

		სულ ხარჯება	მათ შორის:			
			ხელფასი მუხ.	ინვენტარ. შეძენა მუხ. 12	კაპიტალ- დგება სახ. გგ. მუხ. 15	კაპრემონ. მუხ. 16
რესპუბლი- კური ბიუჯეტით	დაზუსტებული გეგმა, შესრულე- ბა შესრულების%	35277 35047 99,3	6382 6151 96,4	3162 3101 98,1	20599 20597 100,0	661 648 98,0
	ადგილობრივი ბიუჯეტებით	265312 290330 98,3	213097 203528 97,9	6176 6437 104,2	11816 11816 100,0	19949 11094 101,3
	სახელმწიფო ბიუჯეტით	330589 325377 98,4	219479 21469 97,8	9338 9538 102,1	32415 32413 100,0	11610 1742 101,1

აღნიშნული მონაცემების მიხედვით საქართველოს სსრ განათლების სისტემის დაწესებულებათა შენახვისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელი დარჩა სულ — 5212 ათასი მანეთი, მათ შორის: რესპუბლიკური

ბიუჯეტით — 230 ათასი მანეთი და ადგილობრივი ბიუჯეტებით — 4982 ათასი მანეთი.

ყურადღებას იმსახურებს ის, რომ 1980 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხაზით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 66 დაწესებულებისა, ექსპლოატაციაში შევიდა 62 დაწესებულება. ამავე საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული სკოლისგარეშე 13 დაწესებულების ნაცვლად, ექსპლოატაციაში გადაეცა 4, ხოლო რაც შეეხება მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობას (მასწავლებელთა უფასო კომუნალური მომსახურებით სარგებლობისათვის), ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23 ბინისა 2460 კვ. მეტრი ფართობით, ფაქტიურად ექსპლოატაციაში შევიდა 15 ბინა 1800 კვ. მ. ფართობით.

საანგარიშო პერიოდში სასკოლო ქსელის გეგმის შესრულება შემდეგნაირად ხასიათდება:

	მოსწავ. რაოდ.		კლასთა რაოდ.		ერთი კლასის დატვირთვის %	
	გეგმა	ფაქტი.	გეგმა	ფაქტი.	გეგმა	ფაქტი.
ქალაქის სკოლებში						
კლასკომპლექტი	159423	167815	5020	5693	28,27	29,44
მე-8 კლასები	195184	195569	6795	6913	28,72	28,28
მე-10 კლასები	62823	61615	2435	2422	25,80	25,49
სულ ქალაქის სკოლებში	4 7430	424930	14870	15028	28,07	28,23
სოფლის სკოლებში						
კლასკომპლექტი	146325	142997	7375	7488	19,84	19,10
მე-8 კლასები	214936	214627	11799	11871	18,22	18,08
მე-10 კლასები	70426	70563	3195	284	22,04	21,49
სულ სოფლის სკოლებში	431690	428187	22 69	26643	19,40	18,91
მთლიანად რესპუბლიკაში	849120	853177	37234	37971	22,80	22,65

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ერთი კლასის დატვირთვა მთლიანად შემცირებულია 0,15 მოსწავლით, კლასთა რაოდენობა კი დატვირთვის შემცირების პირობებში გადიდებულია 432-ით და მიუხედავად ამ მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისა, ხელფასის ფონდში აუთვისებელმა თანხამ სულ შეადგინა — 4800 ათასი მანეთი, რაც დადგენილი ქსელის გაუხსნელობის, სასწავლო გეგმით გათვა-

ლისწინებულის საათების შეუსრულებლობით (რაც მარტო აფხაზეთის ასსრ-ში, მიღებული განმარტების თანახმად, შეადგენს 8486 საათს), ვაკანტური ადგილების არსებობის, სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჯგუფების გაუხსნელობისა და სხვა საგვეგმო დავალებების შეუსრულებლობის მიზეზებით არის გამოწვეული.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს მცირეკომპლექტიანი კლასები და სკოლები.

საანგარიშო პერიოდში გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში არსებული მოსწავლეთა რაოდენობა გეგმასთან შედარებით მართალია 4492 ბავშვით გაიზარდა, მაგრამ კვებით უზრუნველყოფილ ბავშვთა კონტინგენტი ძალზე მცირეა და იგი გეგმის მხოლოდ 9,1%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ სკოლებში ბავშვთა კვების ორგანიზაციის საკითხი ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე და ამ დანიშნულებით გამოყოფილ ასიგნებათა ათვისებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 80,1%. ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ტანხების ათვისება ცალკეული ადგილობრივი ბიუჯეტებით ასეთია: აფხაზეთის ასსრ-ში 40,8 ათასი მანეთიდან ათვისებული დარჩა 2,8 ათასი მანეთი, აჭარის ასსრ-ში 13,8 ათასი მანეთიდან — 4,8 ათასი მანეთი, ქ. თბილისში 97,5 ათასი მანეთიდან — 9,5 ათასი მანეთი, ქ. რუსთავში 4,5 ათასი მანეთიდან — 0,5 ათასი მანეთი, ქ. ზუგდიდში 5,1 ათასი მანეთიდან 1,3 ათასი მანეთი, ბოლნისის რაიონში 4,2 ათასი მანეთიდან — 2,4 ათასი მანეთი, ბორჯომში 2,1 ათასი მანეთიდან 0,3 ათასი მანეთი, ვანში 4,5 ათასი მანეთიდან — 3,3 ათასი მანეთი, გარდაბანში — 19,7 ათასი მანეთიდან — 12,7 ათასი მანეთი, გურჯაანში — 4,4 ათასი მანეთიდან — 2,1 ათასი მანეთი, ყვარელში — 7,2 ათასი მანეთიდან — 2,1 ათასი მანეთი, ლაგოდეხში — 23,7 ათასი მანეთიდან — 8,0 ათასი მანეთი, წალენჯიხაში 8,8 ათასი მანეთიდან — 3,0 ათასი მანეთი, წალკაში 5,0 ათასი მანეთიდან — 2,7 ათასი მანეთი, წულუკიძეში — 4,4 ათასი მანეთიდან 0,6 ათასი მანეთი და სხვა, ხოლო გამოყოფილი ასიგნებანი არ აქვს ათვისებული ასპინძის, ახმეტის, გორის, კასპისა და სხვა რაიონებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლამ-

დელ საბავშვო დაწესებულებათა საფინანსო გეგმის შესრულება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

საბავშვო ბაღების რაოდენობა ქალაქად და სოფლად	1243	1219	98,1	— 24
ბავშვთა სიობრივი რაოდენობა წლის ბოლოსთვის	114353	112968	98,8	— 1385
ბავშვთა საშუალო წლიური რაოდენობა	110910	108163	97,5	— 2747
ბავშვ-დღეთა რაოდენობა (ათასებში)	19.893,9	18746,7	94,2	— 1147,2
ერთი ადგილის საშუალო წლიური დატვირთვა (დღებ.)	179	173	96,6	— 6
სულ ხარჯები კვებაზე (ათ. მან.)	13,284,6	12323	92,8	— 961,6
ერთი ბავშვის დღიური (კვების ხარჯები კაბ.)	— 67	— 66	98,5	— 01
სულ ხარჯები ფინ-გეგმით (ათ. მან.)	50,827,7	49342	103,4	— 1485,7
მათ შორის:				
ასიგნებანი ბიუჯეტიდან (ათ. მან.)	42,188,8	40948	104,8	— 1240,8
მშობელთა გადასახდელები (ათ. მან.)	8,638,9	8394	97,2	— 244,9

აღნიშნული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში სულ ვერ გაიხსნა 24 საბავშვო ბაღი და ბავა-ბაღი, აქედან სოფელ ადგილებში გეგმის ზევით გახსნილია 12 ასეთი დაწესებულება. არ გაიხსნა: აფხაზეთის ასსრ-ში — 4, აჭარის ასსრ-ში — 12 და დაიხურა — 1, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში — 2, ქ. თბილისში — 4, დმანისის რაიონში — 2, ზუგდიდის რაიონში — 1 და დროებით დაიხურა კაპიტალური რემონტის გამო — 6, მცხეთის რაიონში — 1, საგარეჯოს რაიონში — 3 და მოქმედ საბავშვო ბაღებში დამატებით არ გაიხსნა — 5 ჯგუფი, საჩხერის რაიონში არ გაიხსნა — 1 საბავშვო ბაღი, თერჯოლის რაიონში — 3, წალენჯიხის რაიონში — 2, წალკის რაიონში — 1, წითელწყაროს რაიონში შენობის ავარიული მდგომარეობის გამო დაიხურა — 1 ბავა-ბაღი, ჩხოროწყუს რაიონში დაგვიანებით გაიხსნა ბავა-ბაღი და სხვა.

აგრეთვე არ არის შესრულებული ბავშვთა საშუალო წლიური რაოდენობის (2747 ბავშვით), ბავშვ-დღეთა რაოდენობის (1.147,2 ათასი) და ერთი ადგილის საშუალო წლიური დატვირთვის (6 დღით) საგეგმო

მაჩვენებლები, ხოლო ამავე დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა გადასახდელების შეუსრულებლობამ 245 ათასი მანეთი შეადგინა. სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კონტინგენტის შესრულება ვერ იქნა უზრუნველყოფილი: სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში — 370 ბავშვით, ქ. რუსთავში — 243 ბავშვით, ამბროლაურის რაიონში — 180 ბავშვით, ახმეტაში — 387 ბავშვით, ბოგდანოვკაში — 170 ბავშვით, გორის რაიონში — 116 ბავშვით, გურჯაანში — 171 ბავშვით, ქარელში — 158 ბავშვით, ყვარელში — 323 ბავშვით, მახარაძეში — 200 ბავშვით, მცხეთაში — 159 ბავშვით, სიღნაღში — 182 ბავშვით, წალენჯიხის რაიონში — 135 ბავშვით და სხვა.

საყოველთაო სწავლების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში ნაცვლად 1307 ათასი მანეთისა, ათვისებულია 1238 ათასი მანეთი, ანუ 69 ათასი მანეთით ნაკლები. ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებანი აუთვისებელი დარჩათ: აფხაზეთის ასსრ-ში (4,2 ათ. მან.), აჭარის ასსრ-ში (2,0 ათ. მან.), სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში (0,8 ათ. მან.), ქ. თბილისში (16,0 ათ. მან.), ქ. ტყიბულში (0,8 ათ. მან.), ბოლნისში (7,2 ათ. მან.), გარდაბანში (7,1 ათ. მან.), გურჯაანში (1,7 ათ. მან.), ზესტაფონში (1,6 ათ. მან.), ზუგდიდის რაიონში (0,6 ათ. მან.), ამბროლაურის რაიონში (0,5 ათ. მან.), ლენტეხში (2,8 ათ. მან.), მარნეულში (4,4 ათ. მან.), მახარაძეში (1,6 ათ. მან.), მაიაკოვსკში (0,6 ათ. მან.), მცხეთაში (0,6 ათ. მან.), ონში (1,4 ათ. მან.), სამტრედიიაში (0,5 ათ. მან.), სიღნაღში (2,4 ათ. მან.), წალკის რაიონში (1,0 ათ. მან.) და სხვა.

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნება სკოლა-ინტერნატების შენახვაზე გამოყოფილი სახსრების ათვისების, მოსწავლეთა კონტინგენტისა და სხვა საგეგმო მაჩვენებლების შესრულების საქმეში. აღნიშნულ დაწესებულებათა შენახვაზე 1980 წელს გათვალისწინებული 15382 ათასი მანეთიდან ათვისებულია 14906 ათასი მანეთი, ანუ 476 ათასი მანეთით ნაკლები.

სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება საანგარიშო პერიოდში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

სკოლა-ინტერნატები ქალაქად	გვერა	ფაქტიუ- რად	შესრულ- ების %	სხვათა აბსოლი- ტური ციფრებით
მოსწავლეთა რაოდენობა				
წლის ბოლოსათვის:				
1—3 კლასებში	3363	3134	93,2	— 229
მე-4—8 კლასებში	6393	5998	93,8	— 395
მე-9—10 კლასებში	2229	2120	95,1	— 109
ს უ ლ	11985	11252	93,9	— 733
ინტერნატებში მცხოვრებ				
მოსწავლეთა საშუალო				
წლიური რაოდენობა				
ბავშვ-დღეთა რაოდენობა (ათასებში)	2199,3	2052,1	93,3	— 147,2
ერთი ადგილის საშუალო				
წლიური დატვირთვა (დღე-ებში)				
ხარჯები კვებაზე სულ (ათ. მან.)	2310,8	2180,0	94,3	— 130,8
იგივე ერთ ბავშვზე დღეში (მან. კაბ.)	1—05	1—06	101,0	— 0,01
სკოლა-ინტერნატები სოფ- ფლად				
მოსწავლეთა რაოდენობა				
წლის ბოლოსათვის:				
1—3 კლასებში	1658	1809	109,1	— 151
მე-4—8 კლასებში	3546	3491	98,4	— 55
მე-9—10 კლასებში	811	1017	125,4	— 206
ს უ ლ	6015	6317	105,0	— 302
ინტერნატებში მცხოვრებ				
მოსწავლეთა საშუალო				
წლიური რაოდენობა				
ბავშვ-დღეთა რაოდენობა (ათასებში)	1254,0	1161,0	92,6	— 93,0
ერთი ადგილის საშუალო				
წლიური დატვირთვა (დღე-ებში)				
ხარჯები კვებაზე სულ (ათ. მან.)	1404,5	1290,0	91,9	— 113,6
იგივე ერთ ბავშვზე დღეში	1—12	1—11	99,1	— 0,01

როგორც მონაცემებიდან ირკვევა სკოლა-ინტერნატებში მცხოვრებ აღსაზრდელთა საშუალო წლიური რაოდენობის საგვემო დავალებათ

არადამაკმაყოფილებლად შესრულდა, რაც ქალაქად მდებარე სკოლა-ინტერნატებში 95,1% შეადგენს, ხოლო სოფლის სკოლა-ინტერნატებში — 97,1%. არ არის, აგრეთვე, შესრულებული სკოლა-ინტერნატებში მცხოვრებ აღსაზრდელთა ერთი ადგილის დატვირთვა, რაც შესაბამისად 98,4% და 95,6% შეადგენს, ერთი ბავშვის კვების დღიური ფინანსური ნორმები საკასო ხარჯების მიხედვით დარღვეულია და ქალაქად მდებარე სკოლა-ინტერნატებში საშუალოდ დღეში ნაცვლად 1 მან. და 05 კაპ. დახარჯულია 1 მან. და 06 კაპ., სოფლად მდებარე სკოლა-ინტერნატებში შესაბამისად 1 მან. და 12 კაპიკისა, 1 მან. და 11 კაპ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არსებობს მცირეკონტინგენტიანი სკოლა-ინტერნატები. ასე, მაგალითად: ბოგდანოვკის რაიონის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში 1981 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა — 210 აღსაზრდელი, ყვარლის სკოლა-ინტერნატში — 176; მესტიის სკოლა-ინტერნატში — 133, თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატში — 177, წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში — 181, ჩხორიწყუს სკოლა-ინტერნატში — 178, მაშინ, როდესაც მოქმედი ნორმა ითვალისწინებს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატისათვის 240 აღსაზრდელს.

სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა გადასახდელების გეგმა შესრულდა 89,1%-ით და ბიუჯეტს დააკლდა 81 ათასი მან. ამ სახით შემოსავლების გეგმა არ არის შესრულებული: აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში (25 ათ. მან.), სამხრეთ ოსეთის ა/ო (18 ათ. მან.), ქ. თბილისში (7 ათ. მან.), ქ. ზუგდიდში (5 ათ. მან.), ახალციხის რაიონში (3,5 ათ. მან.), ბოგდანოვკის რაიონში (5 ათ. მან.), გურჯაანის (10 ათ. მან.), მახარაძის (4 ათ. მან.), აგრეთვე კასპის, ლანჩხუთის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის და სხვა რაიონებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5300 ბავშვისა, 1981 წლის 1-ელი იანვრისათვის ირიცხებოდა 4418 ბავშვი, ანუ 882 ბავშვით ნაკლები, რის გამოც მათ შენახვაზე გამოყოფილი ასიგნებანი აუთვისებელი დარჩა სულ 124 ათასი მანეთის ოდენობით.



სკოლისგარეშე მუშაობის ღონისძიებებზე დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით დახარჯულია 503 ათასი მანეთით ნაკლები (დაზუსტებული გეგმა — 11697 ათ. მან.; შესრულება — 11194 ათ.მან.).

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებების შედეგად სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებებში გამოვლინებული იყო რიგი დარღვევების ფაქტები. სახელდობრ თეთრიწყაროს რაიონში, თბილისის ოქტომბრის რაიონში და ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ სადგურში თანამდებობრივი შეთავსების თაობაზე მოქმედი კანონის დარღვევის შედეგად გაიცა 13,5 ათ. მანეთი, ზუგდიდის რაიონის სკოლა-ინტერნატი ადგილი ქონდა დატაცება-მითვისებას 12,0 ათასი მანეთის ოდენობით, ქ. ტყიბულის საყოველთაო სწავლების სკოლებში გახსნილი იყო გეგმის ზევით 2 ფინანსური კლასი, რომლის შენახვაზე გაცემულია 6,2 ათ. მან. იქვე ღირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეზე გეგმის ზევით მიცემულ საათებზე გაცემულია 4,5 ათასი მანეთი. განათლების სამინისტროს დაგეგმვისა და აღრიცხვის რესპუბლიკურ მეთოდოლოგიკურ ცენტრში ტარიფიკაციის არასწორად ჩატარების შედეგად ზედმეტად იყო გაცემული 735 მანეთი, იმის გამო, რომ არ იყო დაცული მოქმედი ნორმები. რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვების შედგენა-დამტკიცების სისწორის შემოწმებით დადგინდა ხარჯების სხვადასხვა მუხლებში 160,0 ათასი მანეთის ზედმეტი ოდენობით, ხოლო 79,0 ათასი მანეთის ნაკლები ოდენობით დაგეგმვის ფაქტები, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში ანალოგიურად 7,0 ათასი მანეთის ზედმეტი ოდენობით და 31,0 ათასი მანეთის ნაკლები ოდენობით დაგეგმვის ფაქტები და სხვა.

რესპუბლიკური ბიუჯეტით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის წლიური ბალანსით რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალთანებების და მასალების ნაშთების ოდენობა შემდეგ სურათს იძლევა:

	ნაშთი 1980 წლის I იანვრი- სათვის	ნაშთი 1981 წლის I იანვრი- სათვის	სხვობა	
			+	-
1. ინგარიშვალდებული პირები	6	4	-2	
2. დანაკლისი	1	1	-	
3. დანარჩენი დებიტორები	98	135	+ 37	
4. კრედიტორები	431	49	- 82	
ნ. მასალები	268	310	+ 42	

აღნიშნული საბალანსო მონაცემები იმას ადასტურებს, რომ მატერიალურ ფასეულობათა და დებიტორულ დავალიანებათა ნაშთები არასათანადო ზომების მიღების შედეგად დიდი ოდენობით ირიცხება, რაც საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგენს სულ 499 ათას მანეთს, ზოგიერთ სახეში, წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით, ადგილი აქვს ზრდას. სახელდობრ; დანარჩენი დებიტორები გაზრდილია 37 ათასი მანეთით, ხოლო მასალების ნაშთები — 42 ათასი მანეთით.

საგეგმო-საფინანსო სამმართველო



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რეკონსტრუქციური
კომიტეტის 1981 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება**

მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის
ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების
მუშაკთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის, საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, ცეკავშირის გამგეო-
ბის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუ-
შაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და განათლების,
უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფ-
კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1981 წლის 20 ივნისის ერთობ-
ლივი დადგენილებით მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუ-
შოდ დაყენებისათვის სასკოლო სასადილოების დათვალიერება-კონ-
კურსში გამარჯვებული და პრემირებული ქვემოთ ჩამოთვლილი მუ-
შაკები დაჯილდოებულ იქნენ საპატიო სიგელებით:

1. ჩილინგარიდი სტეფანე ივანეს ძე — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი
2. ზარიფიანი ელენე არშაკის ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში
3. კანოვიჩი მოსე ზეილიკის ძე — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
4. მეგრელიშვილი ინგა მიტროფანეს ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
5. უთურგაული ლილი კონსტანტინეს ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე,
6. გორგაძე ჯემალ ლევანის ძე — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
7. მურადიანი ანა ბაგდასარის ასული — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მეგარდერობე.
8. ხომერიკი გივი მიხეილის ძე — თბილისის 36-ე საშუალო სკო-

ლის დირექტორი

9. თოიძე ქეთევან გიორგის ასული — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

10. ხაჩიძე ლიანა გიორგის ასული — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი

11. სახვაძე რუსუდან ქრისტეფორეს ასული — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე

12. მანჯგალაძე შალვა სპირიდონის ძე — თბილისის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორი

13. გამყრელიძე ნინო პლატონის ასული — თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელი

14. ნუტუბიძე ელენორა ივანეს ასული — თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელი

15. მგალობლიშვილი ჯულიეტა სუმბათის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორი

16. ბაშალავიშვილი ლილია ვარლამის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე.

17. გრიგორიანი ლიუდმილა მიხეილის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი

18. ბილიხიძე სულიკო მიხეილის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი

19. ერქომაიშვილი გიორგი ივანეს ძე — ქ. სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის დირექტორი.

20. ავიძბა სვეტლანა შარახას ასული — ქ. სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე

21. ჩულფა ვასილ ნიკოლოზის ძე — ქ. სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში

22. გოლოვანოვი ხასან გიორგის ძე — ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორი

23. ანდლულაძე ლუდმილა პანტელეიმონის ასული — ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლის მასწავლებელი

24. ბაბილოძე დავით ფილიპეს ძე — ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
25. რიაბოვა ლიუდმილა ნიკოლოზის ასული — ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
26. ქორიძე ელა გრიგოლის ასული — ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
27. ქორთუა ტიხონ ანდრონიკეს ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის დირექტორი
28. გაბუნია ვალერი ვალერიანის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
29. ჩახაია ზურაბ ნაპოლეონის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
30. გუგუჩია ჯოტო იოსების ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
31. დიასამიძე მერაბ ოსმანის ძე — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორი.
32. ტაკიძე ვენერა ტერენტიუს ასული — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში.
33. ჩხარტიშვილი ეთერ კალისტრატეს ასული — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
34. კომახიძე ვარდო რეჯების ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების საშუალო სკოლის დირექტორი
35. ინაშვილი შუქიფე ყოდამის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
36. შაქარაშვილი გული უსუფის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების საშუალო სკოლის მასწავლებელი.
37. მემარნე დავით იოსების ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ შუხაესტატეს საშუალო სკოლის დირექტორი.
38. თქროპირიძე ვახტანგ ხასანის ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ შუხაესტატეს საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე

39. დაჯიშეილი სულეიმან რაზიმის ძე — ჭობულეთის რაიონის
სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის ელექტრომონტიორი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
მ. შინკლავაძე

განათლების, უმაღლესი სკო-
ლისა და სამეცნიერო დაწესებუ-
ლებების მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის თავ-
მჯდომარე

დ. იოსელიანი



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის 23 ივლისის

გ ა ლ ა წ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1981 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლეგიამ და პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს:

1981 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად დაჯილდოვდნენ საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბ-
ლიკური კომიტეტის სიგელით:

ქ. თბილისი

1. აბაიშვილი შოთა კონსტანტინეს ძე — 1-ლი საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი
2. ავსაჯანიშვილი ნელი პეტრეს ასული — 79-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი
3. ანდრეევა ქსენია მიხეილის ასული — 44-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი
4. ბაბინა ოლია თევდორეს ასული — 79-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
5. გიორგაძე ალინა სამველის ასული — საღამოს მე-40 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
6. გოგობია დარეჯან ძვადვის ასული — 51-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი
7. გრიგორიევა ირინე ივანეს ასული — 41-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი
